

შპს “მიდლ ინვესტ გრუპი” და შვილობილი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა და
მმართველობის ანგარიში

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს “მიდლ ინვესტ გრუპი“ და შვილობილი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2-4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....5

კონსოლიდირებული მოგება- ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება6

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება7

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება8

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები..... 9-28

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიში 29

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მიდლ ინვესტ გრუპი“-ს და შვილობილის ხელმძღვანელობას და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „მიდლ ინვესტ გრუპი“-ს და მისი შვილობილისი (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ამ თარიღით დასრულებული წლის კონსოლიდირებულ მოგება-ზარალსა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კონსოლიდირებულ კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებას, კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის ინფორმაციას არსებითი საბუღალტრო პოლიტიკების შესახებ. (შემდგომში „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველში ასახული გარემოებებისა, უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის კონსოლიდირებულ ფინანსურ საქმიანობას და კონსოლიდირებულ ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ხელმძღვანელობამ არ ჩაატარა მეკავშირე კომპანიებში ინვესტიციების გაუფასურების ტესტი, შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მუხლში „ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში“ და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებთან დაკავშირებით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მეკავშირე კომპანიებში ინვესტიციების თანხობრივი ოდენობა შეადგენს 2,860 ლარს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ხელმძღვანელობამ არ ჩაატარა 5,006 ლარის ოდენობის გუდვილის გაუფასურების ტესტი. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ამ მუხლში და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტი წავრმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ („IESBA კოდექსი“) და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აზრები

ჩვენ, ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ შენიშვნა 12-ში მოცემული კომპანიის ამონაგების 100% შედგება ორი კლიენტისგან მიღებული შემოსავლებით. ჩვენი მოსაზრება ამასთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობით ანგარიშში შესულ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და მასზე ჩვენს აუდიტორულ დასკვნას. ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე სხვა ინფორმაციას არ მოიცავს და მასზე რაიმე სახის თვალსაზრისს არ გამოვხატავთ. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი მოვალეობაა, გავცნოთ სხვა ინფორმაციას და, იმავდროულად, დავასკვნათ, ხომ არ არის სხვა ინფორმაცია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტის პროცესში მოპოვებულთან არსებითად შეუსაბამო ან ხომ არ არის ის სხვაგვარად მნიშვნელოვნად არაზუსტი. თუ, ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, დავასკვნით, რომ აღნიშნული სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას შეიცავს, მოგვეთხოვება ამ ფაქტის განცხადება.

აღნიშნულ პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით არა გვაქვს საკითხი, რომლის განცხადებაც საჭიროა.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეფასოს აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა ჯგუფი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი განმარტებითი შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- მთლიანობაში ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამისი ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად. ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

პროცედურები შევასრულეთ და ჩავატარეთ საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ჯგუფის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

30 სექტემბერი 2024

შპს „აი.ჯი.ეფ“


მაკა აკოლაშვილი

გარიგების პარტნიორი

ჩვენი აზრით:

- 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

30 სექტემბერი 2024



შპს „აი.ჯი.ეფ“

მაკა აკოლაშვილი

გარიგების პარტნიორი

შპს „მიდლ ინვესტ გრუპი“ და შვილობილი

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

		2023	პერიოდი 2022 წლის 11 აპრილიდან 31 დეკემბრამდე
	შენიშვნა		
შემოსავალი კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან	12	54,935	55,412
გადაზიდვის ხარჯი	13	(29,859)	(34,344)
ზოგადი და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები		(233)	(120)
საპროცენტო შემოსავალი		39	52
საპროცენტო ხარჯი		(4)	(4)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		11	(1)
მოგება გადასახადით დაბეგვრამდე		24,889	20,995
მოგების გადასახადის ხარჯი		(4,517)	(1,017)
პერიოდის წმინდა მოგება		20,372	19,978
წარსადგენ ვალუტაში კონვერტაციიდან მიღებული შედეგი		(132)	(962)
სულ პერიოდის სრული შემოსავალი		20,240	19,016

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია 2024 წლის 30 სექტემბერს, შპს „მიდლ ინვესტ გრუპი“-ს ხელმძღვანელობის სახელით, შემდეგი პირების მიერ:

ვაჟა ხარაბაძე
დირექტორი

შპს „მიდლ ინვესტ გრუპი“ და შვილობილი

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ლარში)

	შენიშვნა	2023	პერიოდი 2022 წლის 11 აპრილიდან 31 დეკემბრამდე
შემოსავალი კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან	12	54,935	55,412
გადაზიდვის ხარჯი	13	(29,859)	(34,344)
ზოგადი და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები		(233)	(120)
საპროცენტო შემოსავალი		39	52
საპროცენტო ხარჯი		(4)	(4)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		11	(1)
მოგება გადასახადით დაბეგვრამდე		24,889	20,995
მოგების გადასახადის ხარჯი		(4,517)	(1,017)
პერიოდის წმინდა მოგება		20,372	19,978
წარსადგენ ვალუტაში კონვერტაციიდან მიღებული შედეგი		(132)	(962)
სულ პერიოდის სრული შემოსავალი		20,240	19,016

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია 2024 წლის 30 სექტემბერს, შპს „მიდლ ინვესტ გრუპი“-ს ხელმძღვანელობის სახელით, შემდეგი პირების მიერ:

ვაჟა ხარაბაძე
დირექტორი

ვ. ხარაბაძე

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია 2024 წლის 30 სექტემბერს, შპს „მიდლ ინვესტ გრუპი“-ს ხელმძღვანელობის სახელით, შემდეგი პირების მიერ:

ვაჟა ხარაბაძე
დირექტორი

შპს „მიდლ ინვესტ გრუპი“ და შვილობილი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიციები ასოცირებულ კომპანიებში	6	2,860	-
გაცემული სესხი	7	1,208	-
გუდვილი	5	5,006	-
ძირითადი საშუალებები		4	2
აქტივის გამოყენების უფლება		74	95
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,152	97
მოკლევადიანი აქტივები			
გადახდილი ავანსები	8	1,289	1,027
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	805	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	6,705	27,891
სულ მოკლევადიანი აქტივები		8,799	28,918
სულ აქტივები		17,951	29,015
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	10	8,989	14,212
ვალუტის კონვერტაციის რეზერვი		(1,094)	(962)
სულ საკუთარი კაპიტალი		7,895	13,250
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება		15	48
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		15	48
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება		33	31
სახელშეკრულებო ვალდებულება	12	2,671	9,190
სავაჭრო ვალდებულებები	11	7,337	6,496
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		10,041	15,717
სულ ვალდებულებები		10,056	15,765
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		17,951	29,015

შპს „მიდლ ინვესტ გრუპი“

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	გაუნაწილებელი მოგება	წარსადგენ ვალუტაში კონვერტაციის რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 აპრილი	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	19,978	(962)	19,016
გადახდილი დივიდენდები	(5,766)	-	(5,766)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	14,212	(962)	13,250
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	20,372	(132)	20,240
გადახდილი დივიდენდები	(25,595)	-	(25,595)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	8,989	(1,094)	7,895

შპს „მიდლ ივესტ გრუპი“

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	შენიშვნა	2023	პერიოდი 2022 წლის 11 აპრილიდან 31 დეკემბრამდე
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება გადასახადამდე		24,889	20,995
კორექტირებები:			
ცვეთა		22	13
საპროცენტო შემოსავალი		(39)	(52)
საპროცენტო ხარჯი		4	4
წარსადგენ ვალუტაში კონვერტაციის შედეგი		(132)	(962)
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება:			
ცვლილება გადახდილ ავანსებში		(201)	(1,027)
ცვლილება მიღებულ ავანსებში		(6,682)	9,190
ცვლილება სავაჭრო ვალდებულებებში		(3,566)	6,496
ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		14,295	34,657
მიღებული პროცენტები		9	52
გადახდილი პროცენტები		(4)	(4)
გადახდილი მოგების გადასახადი		(4,517)	(1,017)
წმინდა ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		9,783	33,688
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა შეძენა		(3)	(2)
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში	5	(1,302)	-
ინვესტიციები ასოცირებულ კომპანიებში	6	(2,860)	-
გაცემული სესხი		(1,178)	-
წმინდა ფულადი სახსრების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(5,343)	(2)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები	10	(25,595)	(5,766)
გადახდილი საიჯარო ვალდებულება		(31)	(29)
წმინდა ფულადი სახსრების გადინება საფინანსო საქმიანობიდან		(25,626)	(5,795)
ნაშთი წლის დასაწყისში	9	27,891	-
წმინდა ზრდა წლის განმავლობაში		(21,186)	27,891
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	9	6,705	27,891

შპს „მიდლ ინვესტ გრუპი“ და შვილობილი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „მიდლ ინვესტ გრუპი“ (შემდგომში „ჯგუფი“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც შეიქმნა საქართველოში 2022 წლის 11 აპრილს საქართველო კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ. ჯგუფის საიდენტიფიკაციო ნომერია: 405523900. ჯგუფის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.თბილისი, საბურთალოს რაიონი, სულხან ცინცაძის ქ. N12, ბლოკი IX, ბ. 14-18.

შპს „მიდლ ინვესტ გრუპის“ და მისი შვილობილის (შემდგომში „ჯგუფი“) ძირითადი საქმიანობაა სატვირთო საექსპედიტორო მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია, საქართველოში და საქართველოს გარეთ, სარკინიგზო ტრანსპორტით ტვირთის ტრანსპორტირებასთან.

2023 წლის 29 დეკემბერს ჯგუფმა შეიძინა შპს „ტრანზიტლაინის“ 100%-იანი წილი. შპს „ტრანზიტლაინის“ ძირითადი საქმიანობაა, ასევე, სატვირთო საექსპედიტორო მომსახურება.

კომპანია წარმოადგენს ჯგუფის დედა კომპანიას და წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში იკონსოლიდირებს შპს „ტრანზიტლაინს“

2023 წლის სექტემბერში ჯგუფმა შეიძინა 8.35%-იანი წილი შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალში“ და 15%-იანი წილი შპს „მორიგან ჰაიდროში“.

ჯგუფს მთლიანად ფლობს და მისი საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა ფიზიკური პირი ვაჟა ხარაბაძე (პირადი ნომერი: 33001036318).

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა 2.

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

მომზადების საფუძველი. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბასსის მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“), ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო ინტერპრეტაციების კომიტეტის („ფასიკ“) მიერ გამოშვებული ინტერპრეტაციების და საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

კონსოლიდაციის საფუძველი. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ითვალისწინებს კომპანიის და მის მიერ კონტროლირებული კომპანიების ფინანსური ანგარიშგებას. კონტროლი მიღწეულია, როდესაც კომპანიას:

- აქვს ძალაუფლება მეორე ჯგუფიზე;
- აქვს უფლება ცვალებად შემოსავლებზე მისი ჩართულობიდან გამომდინარე მეორე ჯგუფში და
- აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს უფლებამოსილება, რომ გავლენა მოახდინოს მის შემოსავლებზე;

კომპანია მუდმივად აფასებს, რამდენად აკონტროლებს ინვესტირების ობიექტს და მიუთითებს თუ ახალი გარემოებები, რომ შეიცვალა ერთ ან რამდენიმე კონტროლის გამომწვევი ელემენტი, რომლებიც ნახსენებია ზემოთ.

როდესაც კომპანია არ ფლობს ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობას ინვესტიციის ობიექტში, მას აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე იმ შემთხვევაში, როდესაც ხმის უფლება

შპს „მიდლ ინვესტ გრუპი“ და შვილობილი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

საკმარისია იმისთვის, რომ მისცეს მას პრაქტიკული შესაძლებლობა, განკარგოს ინვესტიციის ობიექტის საქმიანობა ცალმხრივად.

კომპანია განიხილავს ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებებს, იმისათვის, რათა შეაფასოს არის თუ არა მისი ხმის უფლება საკმარისი შესაბამისი უფლებამოსილების, მათ შორის, შემდეგის მისაცემად:

- კომპანია მფლობელობაში არსებული ხმის უფლებების მოცულობა სხვა აქციონერების ხმის უფლებების მოცულობასთან და განაწილებასთან შედარებით;
- კომპანიის ხმის უფლების მქონე აქციების მფლობელების ან სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან წარმოქმნილი უფლებები; და
- რაიმე დამატებითი ფაქტები და გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ ჯგუფს აქვს ან არ აქვს შესაბამისი პროცესების წარმართვის უნარი გადაწყვეტილებების მიღებისას, მათ შორის წინა აქციონერთა კრებებზე დაფიქსირებული ხმათა გადანაწილებები.

შვილობილის კონსოლიდაცია იწყება, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე და წყდება, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ ჯგუფზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან განთავისუფლებული დამფინანსებლის შემოსავლები და ხარჯები შეტანილია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ დღიდან, როდესაც კომპანიამ მოიპოვა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე და წყდება იმ დღიდან, როდესაც კომპანიამ დაკარგა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებსა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს. შვილობილი კომპანიების შემოსავალი მიეკუთვნება ჯგუფის მფლობელებსა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს აქვთ საბალანსო დეფიციტი.

საჭიროების შემთხვევაში, კორექტირებები შედის შვილობილთა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, რათა მათი საბუღალტრო პოლიტიკა შესაბამისობაში იყოს ჯგუფის საბუღალტრო პოლიტიკასთან.

ჯგუფის შიდა ყველა აქტივი, ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულის ნაკადის მოძრაობა ჯგუფის წევრ კომპანიებს შორის მთლიანად ელიმინირდება კონსოლიდაციისას.

საწარმოთა გაერთიანება. ბიზნესის შესყიდვები აღირიცხება შეძენის მეთოდის გამოყენებით. საწარმოთა გაერთიანებაში გადაცემული ანაზღაურება ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც გამოითვლება როგორც შეძენის თარიღისთვის ჯგუფის მიერ გადაცემული აქტივების სამართლიანი ღირებულებების, ჯგუფის მიერ შეძენილი ჯგუფის ყოფილ მფლობელებთან დაკისრებული ვალდებულებებისა და ჯგუფის მიერ შეძენილი კონტროლის სანაცვლოდ გამოშვებული წილის ჯამი.

ეს მოიცავს შეძენის მომენტში სამართლიანი ღირებულების შეფასების შედეგად წარმოშობილ ყოველგვარ გუდვილს, არამატერიალურ აქტივებს ან კორექტირებებს, რომლებიც აღიარებული იყო შვილობილი საწარმოს თავდაპირველი შეძენისას, გამოკლებული შემდგომი ამორტიზაცია, ცვეთა, გაუფასურების ზარალი (კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე). საწყისი აღიარების შემდეგ გუდვილის შეფასება ხდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება ნებისმიერი დარიცხული გაუფასურების ზარალი. როდესაც გუდვილი მიეკუთვნება ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ბიზნეს ერთეულს და ამ ერთეულის ოპერაციების ნაწილი არის გასხვისებული, გასხვისებულ ოპერაციასთან დაკავშირებული გუდვილი ჩართულია აღნიშნული ოპერაციის საბალანსო ღირებულებაში იმისთვის, რომ მოხდეს გასხვისებით მიღებული შემოსულობის ან ზარალის მართებული განსაზღვრა. ასეთ შემთხვევაში, გასხვისებულ ოპერაციაზე მიკუთვნილი გუდვილის განსაზღვრა ხდება გასხვისებული ოპერაციის ღირებულებასა და ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ბიზნეს ერთეულში შენარჩუნებული ხვედრითი წილის მიხედვით.

შპს „მიდლ ინვესტ გრუპი“ და შვილობილი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

გუდვილის გაუფასურების შეფასება ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად თუ მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება გაუფასურებული იყოს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ მიცემული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას. სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც აქტივის მფლობელი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან ვალდებულების მფლობელი გადაიხდიდა ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, ჯგუფი მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების ან/და განმარტების მიზნებისათვის, რეალური ღირებულება განისაზღვრება ამგვარ საფუძველზე.

აღნიშნული არ ეხება აქციებზე დაფუძნებული გადახდით განხორციელებულ ტრანზაქციებს, რომლებიც რეგულირდება ფასს 2-ით, იჯარის ტრანზაქციებს, რომლებიც რეგულირდება ბასს 17-ით და იმ შეფასებებს, რომლებიც რეალური ღირებულების გარკვეულ მახასიათებლებს ამჟღავნებს, მაგრამ რეალური ღირებულება არ არის, როგორცაა წმინდა რეალიზებადი ღირებულება (ბასს 2) ან გამოყენებული ღირებულება (ბასს 36).

გარდა ამისა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი ღირებულების დასადგენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომლების მეშვეობითაც დგინდება სამართლიანი ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
 - მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში
- მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად ხილული მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტები მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის ხილული არ არის.

ფუნქციონირების უწყვეტობა. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით რომ საწარმო ფუნქციონირებას განაგრძობს უწყვეტად და სააღრიცხვო პოლიტიკები მთელ პერიოდზე თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული. განსჯისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ასევე, გააანალიზა ბაზრებზე არსებული სიტუაციის გავლენა ჯგუფის ოპერაციებზე.

ხარჯების კლასიფიკაცია. ჯგუფი მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. ჯგუფის შეხედულებით, ეს მეთოდი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

შპს „მიდლ ინვესტ გრუპი“ და შვილობილი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ჯგუფის წარსადგენი ვალუტაა. ჯგუფის სამუშაო ვალუტაა აშშ დოლარი, რომელშიც ხდება ჯგუფის მომსახურების განფასება, ასევე, კონტრაქტორების მიმართ წარმოშობილი ხარჯების განფასება. ჯგუფი სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ წარსადგენ ვალუტას იმიტომ იყენებს, რომ მისი აზრით, ეს ვალუტა უფრო აქტუალურ და სათანადო ინფორმაციას აწვდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს, რადგან ანგარიშგების დროს ქართული ლარის წარსადგენ ვალუტად გამოყენება ქართულ კომპანიებს შორის გავრცელებული პრაქტიკაა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაანგარიშება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებების გადაანგარიშების შედეგად მიღებული შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი). იმ არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი გარიგების დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, გადაანგარიშდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. როდესაც ხდება არაფულადი მუხლის შემოსულობის ან ზარალის აღიარება

სხვა სრულ შემოსავალში, ამ შემოსულობის ან ზარალის ყოველი საკურსო კომპონენტი აღირიცხება სხვა სრულ შემოსავალში. ხოლო როდესაც ხდება არაფულადი მუხლის შემოსულობის ან ზარალის აღიარება სხვა მოგებაში ან ზარალში, ამ შემოსულობის ან ზარალის ყოველი საკურსო კომპონენტი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში. სხვაობა გარკვეული გარიგების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სავალუტო კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) სავალუტო კურსს შორის ოპერაციის დღეს ასახულია საკურსო სხვაობიდან მიღებულ წმინდა შემოსულობაში/(ზარალში). სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 2.6894 და 2.7020 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებით, შესაბამისად.

ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩათვლება და წმინდა თანხით აისახება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს იურიდიული უფლება, მოახდინოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს ურთიერთჩათვალის იგი წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და დაფაროს ვალდებულები. ჯგუფი კონსოლიდირებულ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არ ქვითავს შემოსავლებსა და ხარჯებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაქვითვა მოითხოვება რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, ან ჯგუფის ბუღალტრული პოლიტიკით.

შპს „მიდლ ინვესტ გრუპი“ და შვილობილი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადები აღირიცხება საანგარიშგებო თარიღისათვის სრულად ან არსებითად ამოქმედებული ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს ყველა სუბიექტისთვის, გარკვეული ფინანსური ინსტიტუტების გარდა. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (ადრე მოქმედი მოდელით კომპანიებს მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი ჯგუფში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა).

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წელი ჯგუფისათვის ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც კავშირში არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და სახსრების გადარიცხვა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგების გადასახადის“ ჯგუფში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან. ზემოთ ჩამოთვლილ სხვა კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება როგორც „გადასახადები და მოსაკრებლები“. ახალი კანონმდებლობის ამოქმედების შედეგად, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზისი კარგავს ეკონომიკურ მნიშვნელობას და ბასს 12 - „მოგების გადასახადი“ სტანდარტით განსაზღვრული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები ახალი კორპორატიული დაბეგვრის მოდელში აღარ მოქმედებს.

შემოსავალი. შემოსავალი ფასდება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურების მიხედვით. ჯგუფი აღიარებს შემოსავალს, როდესაც ის გადასცემს მომხმარებელს კონტროლს საქონელზე ან მომსახურებაზე. საექსპედიტორო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი მიიღება ანაზღაურების სანაცვლოდ ტვირთის ერთი პუნქტიდან მეორეში გადაზიდვის შედეგად, რომელიც ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ ფასებს. შემოსავალი ფასდება იმ თანხით, რომლის მიღებასაც ორგანიზაცია მოელის აღნიშნული მომსახურების გაწევის სანაცვლოდ. საექსპედიტორო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება დროის განმავლობაში, მომსახურების გაწევასთან ერთად, ფასს 15-ის მიხედვით. ასაღიარებელი შემოსავლის ოდენობა ფასდება ტრანსპორტირების დასრულებამდე სავარაუდოდ დროის საფუძველზე.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში - ჯგუფი კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაში ინვესტიციებს შვილობილ კომპანიებსა და მეკავშირე საწარმოებში აღირიცხავს თვითღირებულებით (გამოკლებული გაუფასურება). შვილობილი და მეკავშირე კომპანიებიდან მიღებული დივიდენდების ასახვა მოგება-ზარალში ხდება მაშინ, როდესაც დივიდენდის მიღებაზე არსებული უფლება განისაზღვრება.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფი განიხილავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, ამ აქტივების გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლების გამოვლენის მიზნით. ასეთი მაჩვენებლის არსებობის შემთხვევაში, აქტივის აღდგენითი ღირებულება ფასდება გაუფასურების

შპს „მიდლ ინვესტ გრუპი“ და შვილობილი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

მასშტაბების განსაზღვრისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია კონსოლიდირებული აქტივის აღდგენითი ღირებულების დადგენა, ჯგუფი განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების გენერირების ერთეულის აღდგენით ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება აქტივი. განაწილების მართებული და თანმიმდევრული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, კორპორატიული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების გენერირების კონსოლიდირებულ ერთეულებზე, ან ამ ერთეულების უფრო პატარა ჯგუფებზე, რომელთა მართებული განაწილების საფუძველი არსებობს.

აღდგენითი ღირებულება არის რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები და სამომხმარებლო ღირებულებას შორის უმეტესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას მომავალში მისაღები ფულადი ნაკადები დღევანდელ ღირებულებამდე ექვემდებარება დისკონტირებას

გადასახადამდე არსებული საპროცენტო განაკვეთით, რომელიც ასახავს არსებული ბაზრის შეფასებას ფულის ღირებულებით დროში და ითვალისწინებს აქტივისათვის დამახასიათებელ რისკებს, რომელთა საფუძველზე მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების კორექტირება არ განხორციელებულა.

იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

გაუფასურების ზარალის შემდგომში აღდგენის შემთხვევაში, აქტივის (ან ფულის მომტანი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მისი აღდგენითი ღირებულების კორექტირებულ ოდენობამდე იზრდება, მაგრამ ისე, რომ ახალმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რაც დადგინდებოდა, რომ არ მომხდარიყო აქტივზე (ან ფულის მომტან ერთეულზე) გაუფასურების ზარალის აღიარება წინა წლებში. გაუფასურების ზარალის აღდგენა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები. ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი.

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ასახვა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ხდება მაშინ, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით. გარიგების ღირებულება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვას და გამოშვებას (მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა) ემატება, ან აკლდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვასა და გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების ღირებულება დაუყოვნებლივ აისახება მოგებასა და ზარალში.

შპს „მიდლ ინვესტ გრუპი“ და შვილობილი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

ფინანსური აქტივები. ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. ჯგუფის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია ფულისა და ფულის ექვივალენტებით, სავაჭრო და დებიტორული დავალიანებით და გაცემული სესხით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და ჯგუფის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამოწვევისა და სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, ჯგუფი სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით.

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად. იმისათვის, რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს ჯგუფი ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც ჯგუფი ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

აღიარების თარიღი ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფმა აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

შემდგომი შეფასება შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სავალო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (სავალო ინსტრუმენტები)
- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე
- მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია ჯგუფისთვის. ჯგუფი აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

შპს „მიდლ ინვესტ გრუპი“ და შვილობილი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

- ჯგუფი ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირითად თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. ჯგუფის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს. სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ჯგუფის ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხული ფინანსური აქტივები მოიცავს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს და გაცემულ სესხებს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება ჯგუფი აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც ჯგუფი ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოძინებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა). სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად.

შესაბამისად ჯგუფი არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფს შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორულსაკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

შპს „მიდლ ინვესტ გრუპი“ და შვილობილი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში განთავსებულ დეპოზიტებს მოთხოვნამდე ან სამ თვემდე საწყისი ვადის დეპოზიტებს. ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ფულსა და ფულის ექვივალენტებში არ შედის შეზღუდული ნაშთები კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. შეზღუდული ფული მოიცავს ისეთ ნაშთებს, რომლებიც არ შეიძლება გაიცვალოს ან გამოყენებული იქნას ვალდებულების დასაფარად სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ.

გაცემული სესხები. გაცემული სესხები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. გაცემული სესხები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით, გამოკლებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გარდა მოკლევადიანი გაცემული სესხებისა, როდესაც დისკონტირების ეფექტი არამატერიალურია.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება – სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან დადგენადი გადახდებით, რომლებიც არ კოტირდება აქტიურ ბაზარზე. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და გაუფასურების გამოკლებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რაც არ შეეხება მოკლევადიან მოთხოვნებს, სადაც დისკონტირების ეფექტი არაარსებითია.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

კლასიფიცირება სესხად ან წილობრივ ინსტრუმენტად ჯგუფის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები ფინანსურ ვალდებულებად ან წილობრივ ინსტრუმენტად კლასიფიცირდება საკონტრაქტო პირობების, ასევე, ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განსაზღვრების შესაბამისად.

წილობრივი ინსტრუმენტები წილობრივი ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ცხადყოფს დარჩენილი წილის არსებობას რომელიმე პირის აქტივებში ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. ჯგუფის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება მიღებული შემოსავლით, ემისიის პირდაპირი ხარჯების გამოკლებით. ჯგუფის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ხელახალი შესყიდვა აისახება ან გამოიქვითება პირდაპირ კაპიტალიდან. ჯგუფის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ყიდვისას, გაყიდვისას, ემისიისას თუ გაუქმებისას მოგების ან ზარალის ასახვა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ ხდება.

ფინანსური ვალდებულებები ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა ჯგუფი ფინანსური ვალდებულების აღიარებასწყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფის ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან ვადა გასდის.

შპს „მიდლ ინვესტ გრუპი“ და შვილობილი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც ჯგუფმა შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად ჯგუფის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სახელშეკრულებო ვალდებულებები. სახელშეკრულებო ვალდებულებები წარმოადგენს კლიენტებისგან მიღებულ ავანსებს, რისთვისაც საქონელი არ არის მიწოდებული 1 წელზე ნაკლებ პერიოდში. ტრანზაქციის ფასის განსაზღვრისას, ასანაზღაურებელი თანხა კორექტირდება ფულის დროის ღირებულების ეფექტით, თუ ხელშეკრულების მხარეების მიერ შეთანხმებული გადახდების დრო აძლევს მომხმარებელს ან სუბიექტს მნიშვნელოვან სარგებელს მომხმარებლისთვის საქონლის გადაცემის დაფინანსებით. ასეთ პირობებში, ხელშეკრულება შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს, რომელიც შეიძლება არსებობდეს იმისდა მიუხედავად, დაფინანსების დაპირება პირდაპირ არის მითითებული კონტრაქტში თუ იგულისხმება ხელშეკრულების მხარეების მიერ შეთანხმებული გადახდის პირობებით.

დივიდენდები. დივიდენდები აღიარდება კაპიტალში, როგორც შემცირება მათი გამოცხადების პერიოდში. საანგარიშო დღის შემდეგ გამოცხადებული დივიდენდები განიხილება როგორც შემდგომი მოვლენა და განიმარტება შესაბამისად.

3 ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება

მიმდინარე წელს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემულ ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებში შეტანილია მთელი რიგი ცვლილებები, რომელთა დანერგვაც სავალდებულოა 2023 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ დაწყებული სააღრიცხვო პერიოდისთვის. მათ დანერგვას არ ჰქონია რაიმე არსებითი გავლენა წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის გამჟღავნებასა ან წარდგენილ თანხებზე.

<i>ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები (მათ შორის 2020 წლის ივნისის და 2021 წლის დეკემბრის შესწორება სტანდარტში ფასს 17)</i>	ფასს 17 ადგენს სადაზღვევო კონტრაქტების აღიარების, შეფასების, წარდგენისა და გამჟღავნების პრინციპებს და ანაცვლებს ფასს 4 სადაზღვევო ხელშეკრულებებს. ფასს 17 ასახავს ზოგად მოდელს, რომელიც მოდიფიცირებულია სადაზღვევო კონტრაქტებისთვის პირდაპირი მონაწილეობის მახასიათებლებით, აღწერილია როგორც ცვლადი გადასახადის მიდგომა. ზოგადი მოდელი გამარტივებულია, თუ გარკვეული კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია დარჩენილი დაფარვის ვალდებულების გაზომვით პრემიის განაწილების მიდგომის გამოყენებით. ზოგადი მოდელი იყენებს მიმდინარე დაშვებებს მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობის, დროისა და გაურკვევლობის შესაფასებლად და ის ცალსახად ზომავს ამ გაურკვევლობის დანახარჯს. იგი ითვალისწინებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს და მათ გავლენას დაზღვეულის ოფციონებსა და გარანტიებზე. ჯგუფს არ აქვს რაიმე კონტრაქტი, რომელიც ფასს 17-ის მიხედვით აკმაყოფილებს სადაზღვევო ხელშეკრულების განმარტებას.
---	--

შპს „მიდლ ინვესტ გრუპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

შესწორებები სტანდარტში ბასს 1 „ფინანსური ანგარიშგების პრეზენტაცია“ და ფასს პრაქტიკის განცხადებაში 2 „არსებითობის შეფასება - სააღრიცხვო პოლიტიკების განმარტება“	ჯგუფმა მიმდინარე წელს პირველად დანერგა ბასს 1-ის შესწორება. შესწორება ცვლის ბასს 1-ის მოთხოვნებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებასთან დაკავშირებით. შესწორების მიხედვით ყველგან ნაცვლდება ტერმინი „მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა“, ტერმინით - „ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკის შესახებ“. სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია არსებითია, თუ გონივრულად მოსალოდნელია, საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილ სხვა ინფორმაციასთან ერთად განხილვისას მან გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე. ბასს 1-ის დამხმარე პუნქტები ასევე შესწორებულია, რათა განმარტოს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, რომელიც ეხება არარსებით ტრანზაქციებს, სხვა მოვლენებს ან პირობებს, არარსებითია და არ საჭიროებს გამჟღავნებას. სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია შეიძლება იყოს არსებითი დაკავშირებული ტრანზაქციების ბუნების, სხვა მოვლენების ან პირობების გამო, მაშინაც კი, თუ თანხები უმნიშვნელოა. თუმცა, ყველა ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ, რომელიც ეხება არსებით გარიგებებს, სხვა მოვლენებს ან პირობებს, არ არის თავისთავად არსებითი. ბასს-მ, ასევე, შეიმუშავა სახელმძღვანელო მითითებები და მაგალითები, რათა ახსნას და წარმოაჩინოს „არსებითობის ოთხსაფეხურიანი პროცესის“ გამოყენება, რომელიც აღწერილია ფასს-ის პრაქტიკის განცხადება 2-ში.
შესწორებები სტანდარტში ბასს 12 „საშემოსავლო გადასახადები“ — აქტივებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი და ერთიანი ტრანზაქციის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებები	ბასს 12 შესწორებები გვაცნობს კიდევ ერთ გამოწვევას თავდაპირველი აღიარების გამოწვევასთან ერთად. შესწორებების მიხედვით, საწარმო არ იყენებს თავდაპირველი აღიარების გამოწვევის იმ ოპერაციებისთვის, რომლებიც წარმოშობენ თანაბარ დასაბეგრ და გამოქვითვად დროებით სხვაობებს. შესაბამისი საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, პირველადი აღიარებისას შეიძლება წარმოიშვას თანაბარი დასაბეგრი და გამოქვითვადი დროებითი განსხვავებები. აქტივისა და ვალდებულების გარიგებაში, რომელიც არ არის ბიზნეს გაერთიანება და არ მოქმედებს არც სააღრიცხვო მოგებაზე და არც დასაბეგრ მოგებაზე. ბასს 12-ში შეტანილი შესწორებების შემდეგ, საწარმომ უნდა აღიაროს შესაბამისი გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, ხოლო ნებისმიერი გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება, რომელიც ექვემდებარება ბასს 12-ის მიხედვით არსებულ ამოღებადობის კრიტერიუმებს. ჯგუფი არ იყენებს გადავადებული გადასახადის მეთოდს.
შესწორებები სტანდარტში ბასს 12 „საშემოსავლო გადასახადები - საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა - პილარ 2-ის მოდელის წესები“	ბასს ცვლის ბასს 12-ის მოქმედების სფეროს, რათა განმარტოს, რომ სტანდარტი გამოიყენება საგადასახადო კანონმდებლობით მიღებული ან არსებითად მიღებული საგადასახადო კანონმდებლობით მიღებული საშემოსავლო გადასახადების მიმართ, რომლებიც გამოქვეყნებულია ეთგო-ის მიერ გამოქვეყნებული პილარ 2-ის მოდელის წესების განსახორციელებლად, საგადასახადო კანონმდებლობის ჩათვლით, რომელიც წერგავს ამ წესებში აღწერილ კვალიფიციურ შიდა მინიმალურ დამატებით გადასახადებს. შესწორება აცნობს ბასს 12-ში გადავადებული გადასახადების აღრიცხვის მოთხოვნების დროებით გამოწვევას, ასე რომ, საწარმო არ აღიარებს და არ გაამჟღავნებს ინფორმაციას პილარ 2-ის მოგების გადასახადებთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ. ცვლილებების შედეგად, ჯგუფი ვალდებულია გაამჟღავნოს, რომ გამოიყენა გამოწვევისი და ცალ-ცალკე გაამჟღავნოს თავისი მიმდინარე საგადასახადო ხარჯი (შემოსავლები), რომელიც დაკავშირებულია პილარ 2-ის საშემოსავლო გადასახადებთან. ჯგუფი არ იყენებს გადავადებული გადასახადის მეთოდს.
შესწორებები სტანდარტში ბასს 8 „სააღრიცხვო პოლიტიკები, ცვლილება სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები - სააღრიცხვო შეფასების განსაზღვრება“	ჯგუფმა შესწორებები სტანდარტში ბასს 8 პირველად მიმდინარე წელს მიიღო. შესწორებებით სააღრიცხვო შეფასების ცვლილების განსაზღვრება ჩაანაცვლა სააღრიცხვო შეფასების განსაზღვრებით. ამ ახალი განმარტებით, სააღრიცხვო შეფასება არის „ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ფულადი თანხები, რომლებზეც ვრცელდება შეფასების განსაზღვრელობა“. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების განსაზღვრება ამოღებული იქნა

შპს „მიდლ ინვესტ გრუპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის ჯგუფი არ იყენებს შემდეგ ახალ და განახლებულ ფასს საბუღალტრო სტანდარტებს, რომლებიც გამოქვეყნებულია, მაგრამ ძალაში ჯერ შესულა და, ზოგიერთ შემთხვევაში არ დანერგილა შესაბამისი მხარეების მიერ:

ფასს 10 და ბას 28 შესწორებები	აქტივების გაყიდვა ან შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის
ბას 1 შესწორებები	ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიან ვალდებულებებად
ბას 1 შესწორებები	კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები
ბასს 7 და ფასს 7 შესწორებები	ფინანსური შეთანხმებები მომწოდებელთან
ფასს 16 შესწორებები	საიჯარო ვალდებულება გაყიდვისა და უკუიჯარის შემთხვევაში

ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების ამოქმედება მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალ პერიოდებში.

4 კრიტიკული შეფასებები და შეფასებების განუსაზღვრელობის უმთავრესი წყაროები

სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია შენიშვნაში #3, ხელმძღვანელობას ევალება შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. რეალური შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუსაზღვრელობების მომზადებისას გამოყენებული არ ყოფილა ისეთი მნიშვნელოვანი დაშვებები და შეფასებები, რომლებსაც შესაძლოა, არსებითი ეფექტი ჰქონოდა წარდგენილ თანხებზე.

შპს „მიდლ ინვესტ გრუპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

5 შვილობილი კომპანიის შესყიდვა

2023 წლის 29 დეკემბრის კომპანიამ შეიძინა შპს “ტრანზიტლაინის” 100%-იანი წილი და გახდა ერთპიროვნული მეპატრონე. კონტროლის მოპოვება მოხდა ფასს 3-ის მიხედვით.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2023 წლის 29 დეკემბრის მდგომარეობით შპს “ტრანზიტლაინზე” კონტროლის მოპოვების შედეგად აღრიცხული აქტივები და ვალდებულებები:

	ლარი
ფული და ფულის ექვივალენტები	319
სხვა ფინანსური აქტივები	805
სხვა იდენტიფიცირებადი აქტივები	61
ფინანსური ვალდებულებები	(373)
სხვა იდენტიფიცირებადი ვალდებულებები	(163)
სულ შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები	649
გუდვილი	5,006
სულ ანაზღაურება	5,655

სულ შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებასთანაა მიახლოებული მათი მოკლევადიანობის გამო.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 4,304 ლარის დავალიანება წილის ნასყიდობასთან დაკავშირებით აღრიცხულია სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების მუხლში (იხ. შენიშვნა 11). აღნიშნული თანხა სრულად დაფარულია 2024 წელს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ უღიარებია გაუფასურების თანხა გუდვილის მიმართ.

6 ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში

	31.12.2023	31.12.2022
შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალი“	2,696	-
შპს „მორიგან ჰაიდრო“	164	-
სულ ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში	2,860	-

2023 წლის სექტემბერში ჯგუფმა შეიძინა შპს “ფოთის მარცვლეულის ტერმინალის” 8.35%-იანი წილი და შპს “მორიგან ჰაიდროს” 15%-იანი წილი.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ უღიარებია გაუფასურების თანხა მეკავშირე კომპანიებში ინვესტიციების მიმართ.

შპს „მიდლ ინვესტ გრუპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

7 გაცემული სესხები

	31.12.2023	31.12.2022
შპს „მორიგან ჰაიდრო“	1,208	-
სულ გაცემული სესხები:	1,208	-

2023 წლის სექტემბერში ჯგუფმა გასცა 500 აშშ დოლარის ოდენობის უპროცენტო სესხი შპს „მორიგან ჰაიდრო“-ს. ფასს 9-ის თანახმად სესხი აღიარდა გაცემის თარიღში არსებული საბაზრო განაკვეთით დადისკონტირებული მომავალი ფულადი განაცემების ოდენობით. სხვაობა გაცემულ თანხასა და აღიარების თანხას შორის დაკლასიფიცირდა როგორც გაწეული ინვესტიცია (იხ. შენიშვნა 6).

8 გადახდილი ავანსები

	31.12.2023	31.12.2022
გადახდილი ავანსები	1,289	1,027
სულ გადახდილი ავანსები	1,289	1,027

გადახდილი ავანსები წარმოადგენს მომსახურე კომპანიებისთვის გადახდილ თანხებს, რომელთა გამომუშავებაც მოხდება 2024 წელს.

9 ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2023	31.12.2022
ფული ბანკში	342	21
მოთხოვნამდე ანაბარი	6,363	27,870
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	6,705	27,891

მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული ნაშთები არ არის ვადაგადაცილებული და მათი მოკლევადიანი ბუნების გამო, მათზე არ არის აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ნაშთები განთავსებულია ბანკებში, რომელთა უმეტესი ნაწილიც Fitch Ratings- ის მიერ შეფასებულია, როგორც B (მოკლევადიანი რეიტინგი), BB- (გრძელვადიანი რეიტინგი). მიმდინარე ანგარიშებს რეზიდენტ ბანკში ერიცხება პროცენტი ბანკთან შეთანხმებული განაკვეთების შესაბამისად.

მოთხოვნამდე ანაბარი წარმოადგენს ვადიან ანაბარს ბანკებში შემენის თარიღიდან 3 თვეზე მეტი დაფარვის ვადით, მაგრამ, რომლებსთვისაც ჯგუფს აქვს ანაბრის გატანის ცალმხრივი უფლება შეტყობინების გაგზავნიდან რამდენიმე დღეში, ჯარიმების გადახდის და არსებითი საპროცენტო ზარალის გარეშე. შედეგად, აღნიშნული ვადიანი ანაბრების კლასიფიკაცია მოხდა მათი ბუნებიდან გამომდინარე, რაც წარმოადგენს მოთხოვნამდე ანაბარს.

შპს „მიდლ ინვესტ გრუპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

10 გაუნაწილებელი მოგება

2023 და 2022 წლების განმავლობაში გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდები იყო 25,595 ლარი და 5,766 ლარი, შესაბამისად.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაუნაწილებელმა მოგებამ შეადგინა 8,989 ლარი და 14,212 ლარი, შესაბამისად.

11 სავაჭრო ვალდებულებები

	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო ვალდებულებები	3,034	6,496
წილის ნასყიდობის გადასახდელები	4,303	-
სულ სავაჭრო ვალდებულებები	7,337	6,496

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს მომსახურე კომპანიების მიმართ მოკლევადიან დავალიანებას.

წილის ნასყიდობასთან დაკავშირებული გადასახდელები წარმოადგენს შპს „ტრანზიტლაინის“ წილის შესყიდვის დავალიანებას (იხ. შენიშვნა 5). 2024 წლის განმავლობაში აღნიშნული თანხა სრულად დაფარულია.

12 შემოსავალი

	2023	პერიოდი 2022 წლის 11 აპრილიდან 31 დეკემბრამდე
საექსპედიტორო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	54,935	55,412
სულ შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	54,935	55,412

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ინფორმაციას მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებზე და სახელშეკრულებო ვალდებულებებზე.

	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	805	-
სახელშეკრულებო ვალდებულება	2,508	9,190

სახელშეკრულებო აქტივები, ძირითადად უკავშირდება საანგარიშგებო თარიღისთვის, ჯგუფის მხრიდან კლიენტისთვის გაწეული (მაგრამ არა დარიცხული) მომსახურების სანაცვლოდ მოპოვებულ უფლებას ანაზღაურების მოთხოვნაზე. ბიზნესის ხასიათიდან გამომდინარე, არ არსებობს სახელშეკრულებო ნაშთები მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე. სახელშეკრულებო ვალდებულებები მოიცავს საექსპედიტორო მომსახურებისთვის კლიენტებისგან მიღებულ ავანსს.

შპს „მიდლ ინვესტ გრუპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

2023 წლის 31 დეკემბრისთვის, კლიენტებისგან მიღებულ ავანსებში აღიარებული 2,508 ლარი, 2024 წლის განმავლობაში აღიარებული იქნება როგორც საექსპედიტორო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი.

13 გადაზიდვის ხარჯი

	2023	პერიოდი 2022 წლის 11 აპრილიდან 31 დეკემბრამდე
გადაზიდვის ხარჯი	29,859	34,344
სულ გადაზიდვის ხარჯი	29,859	34,344

გადაზიდვის ხარჯი მოიცავს მომსახურე კომპანიებისგან მიღებული მომსახურების შესაბამისი ხარჯების აღიარებას.

14 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღებით დასრულებული წლისთვის, ჯგუფის დაკავშირებულ მხარესთან ტრანზაქციებს არ ქონია ადგილი, გარდა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს აქვს გაცემული სესხი მეკავშირე საწარმოს მიმართ 1,208 ლარის ოდენობით. 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის აღნიშნულ სესხს დაერიცხა 30 ლარი.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღებით დასრულებული წლისთვის, ჯგუფის დაკავშირებულ მხარესთან სხვა ტრანზაქციებს არ ქონია ადგილი.

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ, ხელფასისა და სხვა სარგებლის სახით 2023 და 2022 წელს შეადგინა 80 ლარი და 62 ლარი, შესაბამისად.

შპს „მიდლ ინვესტ გრუპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

15 ფინანსური რისკების მართვა

საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, ჯგუფი ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით შეიძლება იდგეს სხვადასხვა რისკების წინაშე. რისკის უმთავრესი სახეებია: საკრედიტო რისკი, საპროცენტი განაკვეთის რისკი, სავალუტო რისკი, ლიკვიდურობის რისკი. ჯგუფის მიერ გამოყენებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

ფინანსური აქტივები	31.12.2023	31.12.2022
ფული და ფულის ექვივალენტები	6,705	27,891
გაცემული სესხები	1,208	-
სულ ფინანსური აქტივები	7,913	27,891

ფინანსური ვალდებულებები	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო ვალდებულებები	7,337	6,496
საიჯარო ვალდებულება	48	79
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,385	6,575

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან. ჯგუფის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია ფულისა და ფულის ექვივალენტებით, რომლებიც განთავსებულია ადგილობრივ კომერციულ ბანკში, რომელთა უმეტესი ნაწილიც Fitch Ratings- ის მიერ შეფასებულია, როგორც B (მოკლევადიანი რეიტინგი), BB- (გრძელვადიანი რეიტინგი). შესაბამისად, საკრედიტო რისკი ჯგუფიზე შეზღუდულად მოქმედებს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის ის რისკი, რომელიც მცურავი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებისას უარყოფითად მოქმედებს ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე. ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის რისკის ზემოქმედება შეზღუდულია, რადგან ჯგუფს არ აქვს ნასესხები სახსრები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ შესაძლოა ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე უარყოფითი ზემოქმედება გამოიწვიოს იმ კურსის ცვლილებამ, რომლისაც ჯგუფი ექვემდებარება. ჯგუფი არ იყენებს რომელიმე წარმოებულს უცხოური ვალუტის რისკის ზემოქმედების მართვისთვის.

ჯგუფს არაარსებითი ტრანზაქციები აქვს აშშ დოლარისგან განსხვავებულ ვალუტაში, შესაბამისად, ჯგუფიზე სავალუტო რისკის ზემოქმედება შეზღუდულია.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. ჯგუფს აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს ჯგუფის ფულადი ნაკადების ანგარიშგების ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

შპს „მიდლ ინვესტ გრუპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია ჯგუფის ვალდებულებები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებული ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის მოცემულია ქვემოთ:

	1 წელზე >	1 წლიდან 5 წლამდე	სულ 31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,337	-	6,496
საიჯარო ვალდებულება	36	15	51
ვალდებულებები	7,373	15	7,388

	1 წელზე >	1 წლიდან 5 წლამდე	სულ 31 დეკემბერი 2022
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,496	-	6,496
საიჯარო ვალდებულება	36	51	87
ვალდებულებები	6,532	51	6,583

სამართლიანი ღირებულება

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან საბალანსო უწყისის გამოშვების თარიღისთვის მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო. ყველა ის ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებაც შეფასებული ან გაცხადებულია, იერარქიულად მესამე დონეს არის მიკუთვნებული.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ ჯგუფის მფლობელები იმის მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. ჯგუფი აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ საქართველოში არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების გამო.

16 პირობითი ვალდებულებები

სასამართლო წარმოება

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი არ მონაწილეობდა რაიმე მნიშვნელოვანი სასამართლო განხილვის პროცესში. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ადგილი არ ექნება რაიმე არსებითი დაუფარავი ზარალის წარმოშობას და, შესაბამისად, ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ იქნება გათვალისწინებული რაიმე რეზერვი.

გადასახადები

მოქმედი საგადასახადო რეგულაციები ხშირად იცვლება და ბევრი პრეცედენტი არ არსებობს. ამის გამო საგადასახადო რისკები საქართველოში შეიძლება გაცილებით მაღალი იყოს, ვიდრე უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემის მქონე ქვეყნებში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფი არსებითად აკმაყოფილებს იმ საგადასახადო კანონებს, რომლებიც მის საქმიანობას ეხება. ამის მიუხედავად, მაინც არსებობს იმის რისკი, რომ შესაბამისმა ორგანოებმა ამა თუ იმ კანონის სხვაგვარი ინტერპრეტაცია მოახდინონ.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება მეტად სხვადასხვა რისკებით, ვიდრე უფრო განვითარებული ბაზრები. ეს მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებს. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება და საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებით ხასიათდება. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთი შეიჭრა უკრაინაში, რამაც გამოიწვია ქვეყნებს შორის სრულმასშტაბიანი ომი. ამ მოვლენების შემდეგ აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, ევროკავშირმა და სხვა ქვეყნებმა გაახანგრძლივეს სანქციები რუსეთის და მისი მოქალაქეებისა თუ კომპანიების წინააღმდეგ. ამან გამოიწვია რუსული რუბლის შესუსტება, რუსეთის ეკონომიკის რეცესია და სხვა უარყოფითი შედეგები. ამ ეტაპზე აღნიშნულ მოვლენებს არ აქვს გავლენა ჯგუფის ოპერაციებზე.

17 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდგომ

2023 წლის 31 დეკემბრის შემდგომ და ამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე ჯგუფმა გამოაცხადა და გასცა 6,457 ათასი ლარის დივიდენდები.

2024 წელს ჯგუფმა დამატებით 8.3% წილი შეისყიდა შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალში“ 2,675 ლარის საფასურად.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
მიდლ ინვესტ გრუპი და შვილობილი

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი, აერთიანებს ჯგუფთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი, მომსახურების სტანდარტები და საორიენტაციო ღირებულებები; მოიცავს ჯგუფის, როგორც განვლილ მიღწევებს, რაც ყველაზე მთავარია ფაქტობრივ მაჩვენებლებს ჯგუფის განვითარების პოტენციალისა. აღნიშნული დოკუმენტში ასახულია ჩვენი ხედვა, სამომავლო გეგმები და ჯგუფში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

წარდგინება დირექტორისაგან

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შპს „მიდლ ინვესტ გრუპი“-ს და მისი შვილობილის შპს „ტრანზიტლანის“ კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება. ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გავხადოთ ჯგუფის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მოწოდება გავზარდოთ არსებული ბიზნესი, ხარისხისა და ეფექტურობის პარალელურად.

ჩვენი რესურსები ორიენტირებულია ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. ჩვენ გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული თანმიმდევრული განვითარების გეგმა, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა.

მადლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა მოვიპოვოთ ნდობა და პატივისცემა ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და დასაქმებულებისაგან.

საქმიანობის მიმოხილვა

ჯგუფის შესახებ

შპს „მიდლ ინვესტ გრუპი“ შეიქმნა 2022 წელს და მას შემდეგ საქმიანობის აქტიურ ფაზაზე გადავიდა 2022 წლის აპრილიდან, როდესაც დაიწყო სატვირთო გადაზიდვების განხორციელება. საზოგადოებას ჰყავს ერთი დამფუძნებელი - საქართველოს მოქალაქე ფიზ.პირი ვაჟა ხარაბაძე პ.ნ. 33001036318 (წილი კაპიტალში 100%)

2023 წლის 28 დეკემბერს ჯგუფმა შეისყიდა შპს „ტრანზიტლაინის“ (ს/ნ 405403745) 100%-იანი წილი, რომლის საქმიანობის სფეროს ასევე წარმოადგენს საექსპედიტორო მომსახურება.

2023 წლის სექტემბერში ჯგუფმა შეიძინა 8.35%-იანი წილი შპს „ფოთის მარცვლეულის ტერმინალში“ და 15%-იანი წილი შპს „მორიგან ჰაიდროში“.

რას ვსაქმიანობთ

ჯგუფის ძირითად საქმიანობას დაარსების დღიდან წარმოადგენს სატვირთო გადაზიდვები სარკინიგზო ტრანსპორტის საშუალებით, ჯგუფი ქვეკონტრაქტორების საშუალებით ახდენს ტვირთების როგორც საერთაშორისო ისე ადგილობრივ გადაზიდვას ძირითადად აზერბაიჯანი - საქართველოს ტერიტორიაზე, ჯგუფს არ აქვს შეხება ტვირთის ყიდვა-გაყიდვასთან, კომანიის შემოსავალის წყაროს წარმოადგენს ტვირთის ტრანსპორტირების მომსახურების საფასური.

ფინანსური ინფორმაცია

2023 წელს ჯგუფმა დააგენერირა 54,935 ლარის (2022: 55,412 ლარი) ოდენობის შემოსავალი და წმინდა მოგების მარჟამ შეადგინა 37% (2022: 36%). ჯგუფის ლიკვიდურობის კოეფიციენტი 1-ზე მეტია 2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ძირითადი რისკების შეფასება

საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, ჯგუფი ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით შეიძლება იდგეს სხვადასხვა რისკების წინაშე. რისკის უმთავრესი სახეებია: საკრედიტო რისკი, საპროცენტი განაკვეთის რისკი, სავალუტო რისკი, ლიკვიდურობის რისკი.

ჯგუფს მაქსიმალურად შეზღუდული აქვს ზემოთ აღნიშნული რისკების პოტენციური ზემოქმედება. ჯგუფს არ აქვს ისეთი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არსებით საკრედიტო და საპროცენტო განაკვეთის რისკს წარმოქმნის. რადგან ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა აშშ დოლარია და ლარში უმნიშვნელო ოპერაციები აქვს, ეს რისკიც შეზღუდულია.

სამომავლო გეგმები

ჯგუფის მიზანია ყოველწლიურად გაზარდოს ბაზრის წილი და აქტიურად გაიმყაროს პოზიცია მის სფეროში. იგი აქტიურად მშაობს სამომავლო სტრატეგიულ მიმართულებებზე ჯგუფის გრძელვადიან მიზნებია სარკინიგზო გადაზიდვასთან ერთად მომხმარებელს შესთავაზოს სატერმინალო მომსახურება, ტვირთის შენახვის, დაცლა-დატვირთვა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სხვა მომსახურებები.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა

ჯგუფი ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამორიცხოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა.

ჩვენთან თანამშრომლობის პირველი წინაპირობაა, პარტნიორთა საქმიანობაზე, რეპუტაციასა და არსებით დეტალებზე ძირფესვიანი მოკვლევა. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში ჯგუფი მიმართავს კომპეტენტურ ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადეკვატური რეაგირებისათვის.

შპს „მიდლ ინვესტ გრუპი“ ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას, აქტიურად თანამშრომლობს მათთან და ცდილობს წვლილი შეიტანოს უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში. დღემდე ამ კუთხით შპს „მიდლ ინვესტ გრუპში“ არ გამოვლენილა არც ერთი უკანონო შემთხვევა, რომელიც განხორციელდა საგადახდო არხების ან მისი საქმიანობის ხელშეწყობით.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია ჯგუფის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი.

დირექტორი: ვ. ხარაბაძე

2024 წლის 30 სექტემბერი

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა

ჯგუფი ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამორიცხოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა.

ჩვენთან თანამშრომლობის პირველი წინაპირობაა, პარტნიორთა საქმიანობაზე, რეპუტაციაზე და არსებით დეტალებზე ძირფესვიანი მოკვლევა. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში ჯგუფი მიმართავს კომპეტენტურ ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადეკვატური რეაგირებისათვის.

შპს „მიდლ ინვესტ გრუპი“ ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას, აქტიურად თანამშრომლობს მათთან და ცდილობს წვლილი შეიტანოს უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში. დღემდე ამ კუთხით შპს „მიდლ ინვესტ გრუპი“ არ გამოვლენილა არც ერთი უკანონო შემთხვევა, რომელიც განხორციელდა საგადახდო არხების ან მისი საქმიანობის ხელშეწყობით.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია ჯგუფის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი.

დირექტორი: გ. ხარაბაძე

2024 წლის 30 სექტემბერი

3. ხარაბაძე

„დღემდე“ ამ სამსახურში უკანონო შემოსავლებზე არც ერთ შემთხვევაში არ გამოვლენილა არც ერთი უკანონო შემთხვევა, რომელიც განხორციელდა საგადახდო არხების ან მისი საქმიანობის ხელშეწყობით.

დირექტორი: გ. ხარაბაძე

2024 წლის 30 სექტემბერი